საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა

"02" 09 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1206/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 2 მაისი N 67221/03 განცხადებით სს „შატო მუხრანის" წარმომადგენელმა შოთა მეტრეველმა (მის: ჭავჭავაძის გამზ.11, თბილისი) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „CHÂTEAU MUKHRANI RÉSERVE DU PRINCE" (რეგ. N 23969) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „CHÂTEAU MUKHRANI RÉSERVE DU PRINCE" (რეგ. N 23969) „საქპატენტში" რეგსტრირებულია 02.09.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 02.09.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „CHÂTEAU MUKHRANI RÉSERVE DU PRINCE" (რეგ. N 23969) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 354), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 02.09.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

ეკატერინე ეგუტია

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; სს „შატო მუხრანის“ წარმომადგენელს შოთა მტერეველს (მის: წერეთლის გამზ.116, 0119, თბილისი)

ასლი დედანთან სწორია
"02" 09 2013 წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

CHÂTEAU
MUKHRANI

ნიშანი: RÉSERVE DU PRINCE

რეგისტრაციის N: **23969**

მფლობელი: **სს „შატო მუხრანი“**

მისამართი: **ჭავჭავაძის გამზ.11, 0179, თბილისი, საქართველო**

კლასი: **33;**